UDC 316.7
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-3-39-52

ევროკავშირის კულტურული პოლიტიკა და საქართველოს კულტურის ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში

დავით ოქიტაშვილი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: d.oqitashvili@gtu.ge

თამარ გაგნიძე საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: tamriko.gagnidze@gmail.com

რეცენზენტები:

შ. დოღონაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: sh.dogonadze@gtu.ge

ს. დემეტრაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი
E-mail: demetrashvili.sopio@dtu.ge

ანოტაცია. ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხები მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პარალელურად მიმდინარეობს ამ ქვეყნების კულტურული ინტეგრაციაც, რადგან თანამედროვე ევროპის ქვეყნებში სწორედ კულტურაა არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ ნაციონალური საშინაო პოლიტიკის ფორმირების საფუძველი. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობები მნიშვნელოვნად აისახება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის განვითარებაზე. განხილულია საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობები კულტურის სფეროში.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის კულტურული პოლიტიკა; საქართველოს კულტურის ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში.

შესავალი

„კულტურის გარეშე შეუძლებელია ადამიანების პიროვნულობაც და ადამიანური სოციალური სისტე-

მები“, - აღნიშნავდა ამერიკელი სოციოლოგი ტ. პარსონსი ნაშრომში „სოციალური სისტემა“. კულტურა და კულტუროლოგია საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსების კვლევის საგანს წარმოადგენდა და ამ თემაზე არაერთი თეორია ჩამოაყალიბდა .

იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744–1803 წწ.)- გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, ხელოვნების ისტორიული გაგების კონცეფციის ფუძემდებელი ორ საწყისს გამოყოფდა– ბუნებრივი კულტურული არსი და მოცემული ფენომენის განვითარების ისტორიული მიზეზი.

მისი კონცეფციის თანახმად, კულტურის ელემენტებია: ენა, სახელმწიფო, განათლება, ოჯახი და ოჯახური ურთიერთობები, რელიგია, ხელოვნება და მეცნიერება.

ჰერდერის აზრით, მხოლოდ კულტურაა ის საწყისი, რომელიც ადამიანების ინტეგრირებით საზოგადოებას აყალიბებს და სწორედ აზიურ კულტურებს მიიჩნევს მსოფლიო კულტურულ ფენომენთა უმრავლესობის საფუძვლად.

გერმანელ ფილოსოფოს ფრიდრიხ ნიცშეს (1844 – 1900 წწ.) ფილოსოფიურ-კულტუროლოგიური კონცეფციის თანახმად, მხოლოდ ხელოვნებაა ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის ისეთი სინთეტიკური ფორმა, რომელსაც მისი ბუნების ამოცნობა ძალუძს.

გერმანული ფილოსოფიური სკოლის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ოსვალდ შპენგელი (1880–1936 წწ.), რომელიც ავტორია წიგნისა „ევროპის დაისი“, წერს: „არსებობს იმდენი მორალი, რამდენი კულტურაცაა – ზოგადსაკაცობრიო მორალი არ არსებობს“. ის მსოფლიო ისტორიას განიხილავს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კულტურების ჭრილში, რომლებიც ყველა ცოცხალი ორგანიზმივით გადის ჩასახვის, განვითარებისა და გარდაცვალების პერიოდებს.

სოციალური სტრატიფიკაციისა და სოციალური მობილობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამერიკელი სოციოლოგი პ. სოროკინი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „საზოგადოება, კულტურა და პიროვნება: სტრუქტურა და დინამიკა“(1947წ.), საზოგადოებას, პიროვნებასა და კულტურას „განუყოფელ ტრიადად“ განიხილავს და მიიჩნევს, რომ სოციოლოგია არ დაიყვანება სოციალურ ასპექტამდე, კულტურისა და პიროვნების ფაქტორის იგნორირებით. სწორედ მნიშვნელოვნების, ნორმებისა და ღირებულებების მეშვეობით, ინდივიდების მიზეზფუნქციური კავშირით იქმნება რეალური კოლექტიური ურთიერთობები. ამიტომ, „საზოგადოება“ შეუძლებელია უფრო ფართო ცნებად მოიაზრებოდეს, ვიდრე „კულტურა“, რომელსაც მეცნიერი სოციალური სისტემისა და სუპერსისტემის „საფუძვლად“ და მთავარ „მდგენელად“ მიიჩნევს. სოციალურ-კულტურულ მიდგომებზე საუბრისას პ. სოროკინის კვლევები მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ ორიენტირად მიიჩნევა, საიდანაც შეგვიძლია შემდეგი პრინციპების გამოყოფა:

- ცალკეულ საზოგადოებათა, როგორც სტრუქტურირებული სოციალურ-კულტურული პროცესის განხილვა, რომელიც ჩართულია მსოფლიო-ისტორიულ პროცესში;
- ცალკეულ საზოგადოებათა აღწერა, მისი გენეტიკური და ფუნქციური კავშირებით, რაც ანტროპოგეოგრაფიული განსხვავებებითა და კულტურათაშორისი ურთიერთობებითაა განპირობებული;
- საზოგადოების, როგორც ისტორიულად ფორმირებული კულტურების ანსამბლის განხილვა;

- სოციალურ-კულტურული კანონების, კონსტანტებისა და ცვალებადობების გამოვლენა, რომლებიც საზოგადოების განვითარებას არეგულირებს;
- სოციალურ-კულტურული პროცესების სივრცითი და დროითი ორგანიზაციის უნიკალური ფორმების მხატვრულ- ესთეტიკური განსაზღვრა.

ძირითადი ნაწილი

ისეთ მრავალნაციონალურ ერთობაში, როგორიც ევროკავშირია სოციალური ორიენტაცია ამ კავშირის შენარჩუნება-განვითარებისათვის უმთავრესია. შექმნილ ეთნოსოციალურ სიტუაციაში ყველა ცდილობს საკუთარი იდენტობის სოციალურ-კულტურული მნიშვნელოვნების წამოწევას. ევროპულ ოჯახში, რომელიც ფაქტობრივად სოციალურ-კულტურული მთლიანობაა, ნაციონალური და სახელმწიფო-ადმინისტრაციული სუბკულტურები თანაარსებობს, ურთიერთკავშირშია და კონკურირებს.

სოციალურ-კულტურული მიდგომა თანამეგობრობის მოთხოვნაა და კულტურათა სოციალურ-ორიენტირებულ სინთეზში გამოიხატება.

ევროკავშირის კულტურული პოლიტიკის განხილვა მოკლე ისტორიული მიმოხილვით დავიწყოთ, რომელიც 1951 წელს „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების“ შექმნით დაიწყო. 1957 წელს კი, რომის შეთანხმებით, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა ანუ „სასურსათო ბაზარი“ ჩამოყალიბდა.

კულტურულ ურთიერთობათა წინაპირობა ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებს შორის 1970-იანი წლებიდან დაიწყო. პირველი ჩანაწერი კულტურის შესახებ 1992 წელს გაჩნდა მაასტრიხის შეთანხმების ხელმოწერისას, როცა გაერთიანების ახალ სტადიაზე გადასვლის აუცილებლობა შეიქმნა და კულტურას, როგორც ევროინტეგრაციის მნიშვნელოვან მდგენელს, ყურადღება დაეთმო. ევროკავშირის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჟან მონნემ აღნიშნა: „ჩვენ რომ თავიდან ვიწყებდეთ, კულტურიდან დავიწყებდით“ (Inventing the “People’s Europe” Critical Approaches to European Community Cultural Policy. Man 1993 p.779-799). ევროპაში, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს კულტურათა ურთიერთკავშირის დამყარება, რადგან თანამედროვე ევროპის ქვეყნებში სწორედ კულტურაა როგორც საზოგადოების, ისე ნაციონალური საშინაო პოლიტიკის ფორმირების საფუძველი. ევროკავშირის ქვეყნებს შორის კულტურათშორისი გაცვლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე, ის მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითად სფეროებთან.

„ევროპის კულტურის პოლიტიკა“ „ევროპულ კულტურას“ გულისხმობს, რაც მინიმუმ ორი ასპექტს მოიცავს:

- განსხვავებულ, ადგილობრივ (ნაციონალურ, რეგიონალურ) კულტურათა ერთიანობა;
- კულტურათა ერთიანობა, როგორც პოლიტიკური უნიფიკაციის შედეგი.

„ევროპული კულტურის“ ცნების ორგვარი განმარტება, მისი სისტემური კვლევასას, სირთულეს ქმნის. ამ შემთხვევაში ის აუცილებელია გაანალიზდეს როგორც კულტურული გლობალიზაციის პროცესის, ისე კულტურის ნაციონალურ დონეზე არსებობის კუთხითაც. სამწუხაროდ, ევროპის კულტურის პოლიტიკის შესახებ ლიტერატურა მწირია. ჟან-მიშელ პირის მოხსენების გარდა, ამ საკითხებზე

პრაქტიკულად არ არსებობს თემატიკური კვლევები. მსგავს საკითხებზე ნაშრომებიც ცოტაა, მაგალითად:

- ევროპის კულტურის პოლიტიკა, ადგილობრივი და ნაციონალური კულტურული პოლიტიკის კოორდინაციის/ჰომოგენიზაციის კონტექსტში. ამ თემებს ეხება სტრასბურგის უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის პროფესორი ვენსან დიუბუა თავის ნაშრომებში: „სამხრეთ ევროპის კულტურული პოლიტიკები“(„Les politique culturelles en Europe du Sud“); „სამხრეთ ევროპის კულტურული პოლიტიკების ინსტიტუციონალიზაცია“ („L institutionnalisation des politiques culturelles en aaaaeurope du Sud: elements pour une approche comparee“); ევროპის რეგიონების კულტურის პოლიტიკის მკვლევარი მირეი პონჟი და გრენობლის პოლიტიკურ მეცნიერებათა ემერიტუსი გი საეზი - „კულტურული პოლიტიკები და ევროპის რეგიონები: ბად-ვუტენბერგი, კატალონია, ლომბარდია, რონ-ალპები“ (“Politiques culturelles et regions en Europe: Bade-Wurtemberg, Catalogne, Lombardie, Rhone-Alpes”).

ევროკავშირის კულტურის პოლიტიკა მისი წევრი ქვეყნებისათვის განსხვავებულია. ის ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და ფედერალური მოწყობის განსხვავებულ ფორმებზეა დამოკიდებული: ფედერალური მიწები გერმანიაში, ავსტრიასა და ბელგიაში; დეცენტრალიზებული დაყოფა ესპანეთში, იტალიაში, შვედეთსა და საფრანგეთში; ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებმაც მოვალეობები კვაზიავტონომიურ დაწესებულებებს გადასცა დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებსა და ფინეთში; მმართველობის ცენტრალიზებული სისტემა საბერძნეთში, პორტუგალიასა და ლუქსემბურგში.

კვლევები ევროპის ქვეყნების კულტურის პოლიტიკის შედარებითი ანალიზის კუთხით. თითქმის არაა, ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების კულტურის პოლიტიკის აღწერისა და ანალიზის თემაზე ნაშრომები კი – საკმაოდაა. მაგალითად, გერმანიაში კულტურის პოლიტიკის შესახებ, გერმანული კვლევების გარდა, არის პოლიტიკური მეცნიერებებისა და კულტურული მედიტაციების ექსპოზიციის კომისრის, ევროპულ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორ პამელა სტიჩის, მირეი პონჟის, გი საეზას ნაშრომები, ასევე რობ ბერნსისა და გერმანული ფილოსოფიისა და თანამედროვე კულტურის მკვლევრის, პროფესორ ვილფრედ ვან დერ ლის სამეცნიერო სტატიები.

საფრანგეთის კულტურის პოლიტიკას ეძღვნება ფრანგი სოციოლოგის, სორბონის სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის ევროპული ცენტრის ხელმძღვანელ ჟიზელ საპიროს, სამხრეთ ევროპისა და საფრანგეთის კულტურული პოლიტიკის მკვლევრების – იოან პოპისა და ანაის ბოკობზას ნაშრომები.

ევროკავშირის სამხრეთ ნაწილის ქვეყნების კულტურის პოლიტიკის შესახებ ბელგიელი ისტორიკოსის, სოციოლოგისა და XIX-XX სს. ფრანგული ლიტერატურის მკვლევრის, ჟაკ დიუბუას ნაშრომები საინტერესოა, სადაც ავტორი, ამ ქვეყნებში კულტურის ინსტიტუციონალიზაციის საკითხზე, ნაციონალური გამოცდილების შედარებითი ანალიზის სამ პოზიციას ეყრდნობა:

1) ქვეყნებს შორის ისტორიული კავშირი; 2) სახელმწიფო მმართველობის ფორმები, ადმინისტრაციული დაყოფა, ეკონომიკური მდგომარეობა; 3) ქვეყნებში გატარებული კულტურის პოლიტიკის თავისებურებები.

იტალიის კულტურის პოლიტიკის საკითხებს ეხება პიემონტეს კულტურული კვლევების ობსერვატორიის, „ Fondazione Fitzcarraldo“ დირექტორის, ლ. დალ პოზზოლოს სტატიები, ასევე ა. ჟირარის ნაშრომი „იტალიაში კულტურული აღორძინებისათვის“ („For a Cultural Revival in Italy“), იტალიის მოხსენება ევროპის საბჭოზე - იტალიის კულტურული პოლიტიკის მიმოხილვა (A Report on the Council of Europe Review of Italian Coltural Policy); ნორბერტ ელიასის კვლევითი ცენტრის ასოცირებული წევრის, ფილოსოფიის პროფესორ გიიომ მონსენჟონის სტატიები.

საბერძნეთის კულტურის პოლიტიკა განხილულია ათენის უნივერსიტეტის ემერიტუსის, კულტურის პოლიტიკისა და ბერძნული ცივილიზაციის ისტორიის პროფესორის, დორა კონსოლას ნაშრომებში, სადაც ყურადღება გამახვილებულია ბერძნული კულტურის პოლიტიკის ჩასახვისა და მისი განხორციელების ეტაპებზე XIX საუკუნიდან დღემდე.

პორტუგალიელი მწერლისა და პუბლიცისტის, პოლიტიკისა და კულტურის კრიტიკოსის, პროფესორ ე. პრადუ კოელიოს ნაშრომებით ვეცნობით პორტუგალიაში კულტურის პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე პროცესებს. მისი აზრით, თანამედროვე პორტუგალიის კულტურის პოლიტიკის სამი ასპექტი არსებობს:

1) დეცენტრალიზაცია;
2) ბიუჯეტის გაზრდა;
3) კულტურული მოღვაწეობის კონსულტატიური ცენტრის შექმნა.

კულტურის მენეჯმენტის პროგრამების ხელმძღვანელის, ბარსელონას უნივერსიტეტის პროფესორ ლუის ბონეტის ნაშრომებში სრულადაა აღწერილი ესპანეთის კულტურის პოლიტიკა. ავტორი ბოლო პერიოდში ადგილობრივ დონეზე მიმდინარე კულტურის პოლიტიკის ცვლილებებს მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

ნაციონალური კულტურის პოლიტიკის შესახებ ლიტერატურაში მიზანშეწონილია აქტუალური საკითხების გამოყოფა, მაგალითად ევროპული კულტურის პოლიტიკის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის გაგრძელების საკითხი. ცხადია, ევროპისა და ნაციონალური კულტურის პოლიტიკებს შორის ურთიერთკავშირი სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ აუცილებელია. ყოველი ნაციონალური კულტურის პოლიტიკისათვის საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. ევროპისა და ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება, საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში, ნაციონალური კულტურების გამოცდილების გაზიარებაა. ამიტომ, ევროპული კულტურის მიმდინარე პოლიტიკა ადგილობრივი კულტურის თავისებურებებსა და ნაციონალური კულტურის პოლიტიკის ტრადიციებზე ყურადღებას განსაკუთრებულად ამახვილებს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ნაციონალური კულტურის პოლიტიკას ადრეულ წლებში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო დრომდე ევროკავშირის ყველა ქვეყნისათვის კულტურაზე გამოყოფილი საერთო საბიუჯეტო სახსრები უმნიშვნელო იყო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბევრი ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლება, ასევე ევროკავშირის ხელმძღვანელობის ზოგი წარმომადგენელი კულტურის პოლიტიკას არ განიხილავს სერიოზულ რესურსად, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ერთ-ერ-

თი მთავარ ინსტრუმენტად როგორც ევროკავშირის, ისე კონკრეტული ქვეყნისათვის.

კულტურის სფეროში ევროკავშირის აქტივობების შესახებ კვლევებში არის ასეთი ცნება - ნაციონალური კულტურის პოლიტიკა (Politique Nationale Culturelle). ევროპის მეცნიერებათა ინსტიტუტის, პოლიტიკური მეცნიერებებისა და კულტურული მედიტაციების მეტრი და DEA-ს ტიტულირებული ექსპოზიციის კომისარი პამელა სტიჩი თავის ნაშრომებში აღნიშნავს, რომ ევროკავშირის სახელმწიფო და სამართლებრივ დოკუმენტების გაცნობისას ხშირად შევხვდებით ნაციონალური კულტურული მრავალფეროვნებისა და თვითმყოფადობის შესახებ ჩანაწერებს. ავტორთა ნაწილი ნაციონალური კულტურის პოლიტიკას ევროკავშირის ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარების ხელის შემშლელ ფაქტორად და საერთოევროპული ინსტიტუტების შექმნის შემაფერხებელ მოვლენად მიიჩნევს.

ცნობილი იტალიელი ხელოვნებათმცოდნის, ხელოვნების კრიტიკოსის, „Galleria communale di Prato"-ს ინსტიტუტის დირექტორ რობერტო პანინისა და ჟაკ დელკურის წიგნში საპირისპირო მოსაზრებაა. პანინის აზრით, ევროპის გაერთიანების საკითხზე მსჯელობისას ნაციონალური კულტურის და ზოგადად კულტურის საკითხებს მუდამ ეთმობოდა და ეთმობა მთავარი ადგილი. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთიანი ევროპული კულტურის ფორმირებას ნეგატიურად უდგება ინტელიგენციის ნაწილი და არა ევროკავშირის ჩინოვნიკები. ეს ის საზოგადოებაა, რომელიც კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობებს შორის ურთიერთკავშირს შეუძლებლად მიიჩნევს.

ევროკავშირის მდივნის კულტურის ყოფილი ატაშე, ევროკომისიის რობერტ შუმანის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ბელგიელი მწერალი ლივიო მისსირ ლუზინიანი სტატიაში "ევროპული გაერთიანების აქტივობები კულტურის მხარდაჭერისათვის" („L action de la Communaute Europeenne en faveur de la culture") აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს, ევროკავშირის განვითარების პროექტის განხილვისას, ევროკომისია კულტურას ამ პროცესის განხორციელებაში უმთავრეს როლს ანიჭებდა. 2022 წელს ყურადღება გამახვილდა ნაციონალური კულტურული მემკვიდრეობის შენახვა-დაცვასა და მასზე როგორც ევროკავშირის, ისე მთელი მსოფლიოს მოქალაქეებისათვის წვდომის უზრუნველყოფაზე. მსოფლიო კრიზისის პერიოდში კულტურული ოპერატორების მოღვაწეობას (Les operateurs culturels) მეტი ყურადღება დაეთმო, ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის პროექტების განხორციელების პროგრამული მხარდაჭერისათვის განსაკუთრებული პირობები შეიქმნა. ლ. მისსირ ლუზინიანმა პირველმა შემოიტანა ევროპული კულტურის ბაზრის ცნება (Le marche culturel).

ზემოთ მოცემულ ნაშრომებში ვხვდებით მაასტრიხის შეთანხმების 128-ე პუნქტის ბმულს, რომელიც განსაზღვრავს კულტურის სფეროში სამართლებრივი ქმედების ორ ძირითად მიმართულებას:

1) ევროკავშირის საერთოევროპული კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურის დაცვა-გავრცელება, ნაციონალური კულტურული მრავალფეროვნების სრული შენახვა-დაცვისა და პატივისცემის გზით;

2) წევრ სახელმწიფოთა შორის ურთიერთთანამშრომლობა კულტურის სფეროში.

1998 წელს 128-ე პუნქტში შესწორება შევიდა - სტრუქტურული ფონდებიდან ევროკავშირის სახსრების 80% კულტურული პოლიტიკის განხორციელებას მოხმარებოდა. ეს ინფორმაცია მოცემულია კონფედერაციის მასალებში „ევროპა და კულტურა – საკითხი ადგილობრივი განვითარებისათვის“ (Europe et culture, un enjeu pour le developpement local).

XXI საუკუნის დასაწყისში პირველად გამოქვეყნდა ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტების, პროგრამებისა და პროექტების დეტალური აღწერის სრული, ყოველწლიურად განახლებადი კატალოგი „ევროპის კულტურული ესტაფეტა“ (Le Relais culture Europe), სადაც შემდეგი თემებია მოცემული:

1) მოკლევადიანი პროგრამები – „კულტურა და მოქალაქეები“ (Culture et citoyennete):

2) გრძელვადიანი პროგრამები – „კულტურა და მდგრადი განვითარება“ (Culture et les croissance durable);

3) კულტურა და გარესამყარო – „კულტურა და ბუნებრივი რესურსები“ (Culture et resoutces naturelles);

4) კულტურა და მოქალაქის უფლება-თავისუფლება – „კულტურა და თავისუფალი სივრცე“ (Culture et espace de liberte);

5) ევროკავშირი – სერიოზული მოთამაშე მსოფლიო სცენაზე – „ევროკავშირი–გლობალური მოთამაშე“ (I Vnion europeenne est acteur global).

ეს კატალოგი, მოცემულ ეტაპზე, ევროკავშირის კულტურის პოლიტიკაზე სრულ ინფორმაციას იძლევა.

ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის ძირითად მიზნებს დღემდე მაასტრიხტის მოლაპარაკების 128-ე და 92-ე (პუნქტი 3) თავები არეგულირებს, სადაც მცირედი ცვლილებებია შეტანილი, ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის აუდიოვიზუალურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

ევროპული თანამეგობრობის მოლაპარაკების მე-3 თავი უმეტესად განათლების დონისა და ხარისხის ამაღლებისაკენ მიმართულ აქტივობებს (Les actions) ეთმობა. მოლაპარაკების მე-3 თავის 151-ე პუნქტის თანახმად, თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის ძირითად მიზნებია:

- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კულტურული მემკვიდრეობის საჯაროობაზე ყურადღების აქცენტირება;
- ევროპის ხალხების ისტორიისა და კულტურის შესახებ ინფორმაციაზე წვდომისა და გავრცელების ხელშეწყობა;
- არაკომერციულ საწყისებზე კულტურული გაცვლების მხარდაჭერა;
- ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კულტურის სფეროში.

2007–2013 წწ. ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი კავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობის ევროკავშირისადმი იმ განცდის განვითარება იყო, რომ ისინი მთელი ევროპული კულტურის სიმდიდრის, სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების ნაწილია. ამ მიზნით შემუშავდა მოკლევადიანი კულტურული პროგრამები „კულტურა და მოქალაქეობა“ (Culture et citoyennete). აქტივობები ოთხი მიმართულებით წარიმართა: კულტურის ახალგაზრდული პოლიტიკა, კულტურული მემკ-

ვიდრეობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მოქალაქეთა ჩართულობა.

1) პროგრამა „ახალგაზრდობის აქტივობები“ (Iuness en action) ხელს უწყობდა 13–30 წლამდე ახალგაზრდობის სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას;

2) პროგრამა „კულტურა“(Culture) მიმართული იყო ევროკავშირის ერთიან კულტურულ სივრცეში, მისი ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი დაყოფის მიუხედავად;

3) პროგრამა „მედია“(Media) აუდიოვიზუალური ფორმით წარმოდგენილ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფას ემსახურებოდა;

4) პროგრამა „ევროპა მოქალაქეთათვის“ (L Europepour les citoyens) მიზნად ისახავდა ევროპული ინტეგრაციის პროცესში მოქალაქეთა აქტიურ მოზიდვას.

პროგრამა „კულტურა 2007-2013“ ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება გახდა. ის კულტურული სივრცის აღნიშვნასა და სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ აქტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე იყო ორიენტიებული და მისი ძირითადი მიზნებია:

1) მხატვრული და კულტურული შემოქმედებითი პროდუქტების სახელმწიფოთაშორისი გაცვლის ხელშეწყობა;

2) კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების, სახელმწიფოთაშორისი მოქმედების ხელშეწყობა;

3) კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში, კონსულტაციებისა და დისკუსიების შედეგად, გამოიკვეთა ევროკავშირის კულტურის პოლიტიკაში მონაწილე კულტურული აქტორების კონკრეტული მოთხოვნილებები, რაც პროგრამის ძირითადი ორიენტირი გახდა.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მონაწილე ქვეყნების ორგანიზაციების (თეატრები, მუზეუმები, პროფესიული გაერთიანებები, სამეცნიერო ცენტრები, უნივერსიტეტები და კულტურის ინსტიტუტები) თანამშრომლობის ხელშეწყობა იყო. შედეგად, საშუალება მიეცათ არა მხოლოდ ევროპის, არამედ ევროპული საზოგადოების ფარგლებს გარეთაც დაემყარებინათ კონტაქტები.

ევროპული გაერთიანების დაარსებიდან დღემდე კულტურის როლის დამკვიდრების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესია. მიმდინარე ინტეგრაციის პროცესში, ევროპულ საზოგადოებებს შორის განხეთქილების შემსუბუქებისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მოპოვების დიდი პოტენციალი სწორედ კულტურას აქვს, რადგან სახალხო დიპლომატიის მძლავრ რესურსს შეადგენს. კონკურენტუნარიანი ეკონომიკისა და საზოგადოების საკეთილდღეო პირობების შექმნა ევროკავშირის კულტურაში ფინანსების დაბანდების გარეშე ვერ მოხდება.

ევროპული იდენტობის თვალსაზრისით, კულტურული პოლიტიკის პრობლემა ორმხრივად შეგვიძლია განვიხილოთ:

ევროკავშირის ნაციონალური კულტურული მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია, მაგრამ აუცილებელია საერთო ისტორიულ ფაქტორებზე, ღირებულებებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ყურადღების გამახვილება.

ევროკავშირის კულტურის პოლიტიკით განსაზღვრული ევროპული იდენტობის შექმნა გარკვეულ სირთულეებს აწყდება. ამ იდენტობის სიმბოლოები -

დროშა, ჰიმნი, პასპორტი, საფოსტო მარკა, განსაკუთრებული კალენდარი და სხვა, ევროინტეგრაციის ძირითადი ატრიბუტებია. მათი გამოყენება ზენაციონალურ დონეზე ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფოთა ნაციონალური წარმონაქმნების კანონიერებას. ამასთანავე, ნებისმიერი ნაცია ხაზს უსვავს საკუთარ ეროვნულ საზოგადოებასა და „უცხოთა“ შორის არსებულ განსხვავებას. ნაციებს შორის კულტურული სხვაობა მათ ბუნებრივ და გადაულახავ ბარიერად წარმოუდგენიათ. სწორედ ამან გამოიწვია, მაგალითად, ევროპული ისტორიის რამდენიმე „ნაციონალური“ ინტერპრეტაცია.

ევროკავშირის კულტურის პოლიტიკა ცდილობს გამოკვეთოს როგორც საკუთარი კულტურის მრავალფეროვნება, ისე კულტურის ერთგვაროვნებაც. თუმცა, რა უნდა იქნეს აღებული სხვადასხვა ნაციონალური კულტურიდან და რომელი ნაციონალური სპეციფიკა უნდა დაედოს საფუძვლად ევროპული კულტურის ინტეგრაციის პროცესს, ამ საკითხზე საკმარის ინფორმაციას ვერ იძლევა.

ევროპული იდენტობის აღქმასთან დაკავშირებით, საინტერესოა მოქალაქეთა შეხედულებები. რობერტ შუმანის საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მხოლოდ 17% ეთანხმება იმ აზრს, რომ საკუთარ ნაციონალობასთან ერთად, ევროპული საზოგადოების წევრებად თვლიან თავს. ვფიქრობ, ევროპული იდენტობის საფუძვლები ნაციონალურ სპეციფიკასთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს. ევროპული კულტურის პოლიტიკა უნდა ასახავდეს როგორც კულტურულ საჯაროობას, ისე წევრ სახელმწიფოთა ნაციონალური კულტურების მრავალფეროვნებას. ნაციონალური საზოგადოებრივი გაერთიანებების ევროპიზაცია იმ ევროპული პრობლემების გადაჭრის გზით უნდა ხდებოდეს, რომლებიც მოცემულ ნაციონალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ კონტექსტშია მნიშვნელოვანი.

უკანასკნელ წლებში განვითარებულმა კულტურულმა თანამშრომლობამ და ურთიერთობებმა, რასაც ცხადყოფს კულტურის მიმართულებით განხორციელებული პროექტები და პროგრამები, მნიშვნელოვნად შეცვალა და გაამდიდრა ევროპული თანამეგობრობა და ნაციონალურ კულტურებს შორის დემარკაცია ნაწილობრივ დაარღვია.

საქართველო ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა ოდითგანვე იყო. ბუნებრივია, რომ ქვეყანაში მიმდინარე ევროინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებულ სასიკეთო პროგრესში კულტურის სფეროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

2015 წლის 18 თებერვალს საქართველო გაწევრიანდა ევროკავშირის პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“(„Creative Europe“), რამაც ახალი პერსპექტივები შექმნა კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანებისა და ინსტიტუციებისათვის. ქართული თვითმყოფადი, მდიდარი კულტურის უფრო ფართოდ წარმოჩენისა და საქართველოს ევროპულ კულტურულ პროცესებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები გაჩნდა. სწორედ კულტურა და ხელოვნებაა ის სფერო, რითაც საქართველომ ევროპულ ოჯახში დამსახურებულად შეუძლია განსაკუთრებული ადგილი დაიკავოს. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნებიდან, საქართველო პირველი შეუერთდა ამ პროგრამას და პირველმა განახორციელა ევროკავშირის Twining პროექტი კულტურის მიმართულებით. „აღმოსავლეთ პარტ-

ნიორობის კულტურის პირველი მინისტერიალი“ სწორედ თბილისში გაიმართა.

2021 წლის 12 თებერვალს ევროკავშირის პროექტის, „EU4Culture“ კონკურსის ფარგლებში ზუგდიდმა, ფოთმა და ქუთაისმა კულტურის სტრატეგიების მოსამზადებლად 30.000 ევრომდე დაფინანსება მიიღო. კონკურსში აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნის 70 ქალაქი იყო ჩართული.

საქართველო უკვე მეორედ მონაწილეობს პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“, რომელიც 2021-2027 წლებზეა გათვლილი, ასოცირებული ქვეყნის სტატუსით, კულტურის, მედიისა და ინტერსექტორული მიმართულებების სფეროში გამოცხადებულ კონკურსებში და დაფინანსების რეალური შანსი აქვს. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში კულტურის, შემოქმედებით და აუდიოვიზუალური სექტორების გაძლიერებას, ევროპულ სივრცეში ქართული კულტურის აქტიური ინტეგრაციის პროცესს. პროექტის ბიუჯეტი 2,47 მილიარდი ევროა და ორი უმთავრესი მიზანი აქვს: 1) ევროპული კულტურისა და ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია; 2) კულტურულ-შემოქმედებითი სექტორების, განსაკუთრებით კი აუდიოვიზუალური სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება.

დღეისათვის, „შემოქმედებითი ევროპა 2014 – 2020-ში“ მონაწილეობით, საქართველოს 33 პროექტმა მოიპოვა დაფინანსება, რაც 1.5 მლნ ევროს აღემატება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა: კინოფესტივალი, სამუზეუმო, ლიტერატურული და არქიტექტურის სექტორები და სხვა.

პროგრამაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, საქართველოში ჩამოყალიბდა „შემოქმედებითი ევროპის დესქი“, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს კულტურის სამინისტროს სსპი „შემოქმედებითი საქართველოს“ ბაზაზე. იგი საქართველოდან პოტენციური ბენეფიციარების პროგრამაში მონაწილეობის მხარდაჭერას ეწევა. ამ მიზნით მუდმივად იმართება პროგრამებისა და გამოცხადებული კონკურსების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები.

2016 წლის დეკემბერში თბილისში, ევროკავშირის მხარდაჭერით, „შემოქმედებითი საქართველოს“ ფორუმი გაიმართა. მისი მიზანი იყო:

1. შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

2. ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო ექსპერტების, პოლიტიკის განმსაზღვრელი, შემოქმედებითი პროფესიონალებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების ერთმანეთთან დაკავშირება.

2015 წლის ივნისში ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამწლიანი კულტურის პროგრამა „Culture &Creativity“ დაიწყო. ის მიზნად ისახავდა კულტურული და შემოქმედებითი სექტორის მონაწილეობისა და კონტრიბუციის ხელშეწყობას ჰუმანიტარული, სოციალური და კულტურული სფეროების განვითარებაში. პროგრამა ექვს ქვეყანაში მიმდინარეობდა: საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა და სომხეთი. მისი ბიუჯეტი 4.2 მილიონ ევროს შეადგენდა, მორგებული იყო თითოეული მონაწილე ქვეყნის ინტერესებსა და საჭიროებებზე. აქცენტირება ოთხ ძირითად მიმართულებაზე მოხდა:

1) მტკიცებულებების შეგროვების კვლევითი მექანიზმების განვითარება;

2) სფეროს პროფესიული განვითარება;

3) ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ამაღლება;

4) საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის შესაძლებლობების შეთავაზება.

პროგრამის ხელმძღვანელ ტერი სანდლერის განცხადებით: „სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესსექტორის კულტურის სფეროში თანამშრომლობა აუცილებელია ყველა თანამედროვე სახელმწიფოსათვის. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ინკლუზიური და ერთობლივად ჩამოყალიბებული ეროვნული პოლიტიკით, რომელშიც ნათლადაა წარმოჩენილი კულტურის როლი პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში.“ [https://www.culturepartnership.eu/ge/article/nova-programa-rozpochina%D1%94-svoyu-d%D1%96yaljn%D1%96stj]

პროგრამის ფარგლებში დამუშავებული სხვადასხვა მიმართულების თემები მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავდა:

- მენეჯმენტი (დაგეგმვის, ორგანიზებისა და კოორდინაციის პროცესები);
- კულტურის სფეროში ლიდერობა;
- კულტურული და სტატისტიკური კვლევები;
- კულტურის ადვოკატირება;
- ფინანსების მოზიდვა;
- კულტურის სფეროს ჟურნალისტიკა და კომუნიკაციის სფეროს პროფესიული დონის ამაღლება.

ევროკავშირმა დააფინანსა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის 27-თვიანი „თვინინგპროექტი“, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და წევრობის არსებული ან პოტენციური კანდიდატის, ან ევროპული სამეზობლოს წევრი ქვეყნების საჯარო სამსახურებს შორის თანამშრომლობას გულისხმობს. ევროკავშირი მხარს უჭერს „თვინინგს“ და მისი მეშვეობით პარტნიორ ქვეყნებში საჯარო სტრუქტურების გაძლიერებას, რეფორმებსა და შემდგომ განვითარებას ხელს უწყობს. კულტურის სფეროში გამოცხადებული პირველი „თვინინგის“ პროექტია, რომელიც სამომავლო სტრატეგიის ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში.

2020 წელს ბერლინში ჩატარებულ კონკურსში, LCD Berlin Awards-ის გლობალური კულტურული სამოგზაურო ქსელისა და Visit Berlin-ის ერთობლივ ცერემონიალზე, საქართველოს დედაქალაქმა თბილისმა „საუკეთესო კულტურული ქალაქის“ ნომინაციაში გაიმარჯვა.

“Europa Nostra Georgia”-მ გამოაქვეყნა კულტურული მემკვიდრეობის უმაღლესი ჯილდოს - „ევროპა ნოსტრას“ გამარჯვებული, პროექტების ნუსხა და საპატიო პრიზის მფლობელი ორგანიზაციები და პროექტები, რომლებიც საქართველოდან იყო წარდგენილი:

- პროექტი „ქსოვილი საქართველოდან“ – სამეცნიერო-კვლევით კატეგორიაში. ხელოვნების სასახლე, 2018 წელი.
- პროექტი „არამატერიალური მემკვიდრეობის მატერიალური მხარე, ტრადიციული რეწვის ინიციატივა საქართველოში“ – არაფორმალური განათლებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღ-

ლების კატეგორიაში. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, 2017წ.

- პროექტი „ტიმოთეს უბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ფრესკების საკონსერვაციო სამუშაოები“ – არქიტექტურის რესტავრაციის კატეგორია, სპეციალური პრიზი. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი და იტალიის პარტნიორი ორგანიზაცია Conservazione Beni Culturali, 2006 წ.

- პროექტი „თბილისური ეზოები“ – ცნობიერების ამაღლების კატეგორიაში. ტელეკომპანია „არტ არეა“, 2018 წ.

- „ახალი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირის ისტორიული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები“ – კონსერვაცია-რესტავრაციის კატეგორია. თბილისის მერია და თბილისის განვითარების ფონდი, 2017 წ.

- „საქართველოს ხელოვნების სასახლე“ – კონსერვაცია-რესტავრაციის კატეგორია. საქართველოს კულტურის სამინისტრო და ძეგლთა დაცვის საგენტო, 2016 წ.

- „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი - 20 წელი კულტურის სამსახურში“ – კულტურის სფეროში გაწეული ღვაწლისათვის. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, 2015 წ.

„ ევროპა ნოსტრას“ საფრთხის ქვეშ არსებული 7 ძეგლის პროგრამის გამარჯვებული ძეგლები საქართველოდან გახლავთ:

- ჭიათურის საბაგირო გზები –2018 წელს შეტანილია წინასწარულ ნუსხაში;

- დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი – 2018 წლიდან ძირითად ნუსხაშია.

2019 წლის 21–23 ნოემბერს პორტუგალიაში გამართული ევროპის მუზეუმების ყოველწლიური კონკურსის, “EMYA”-ს ჟიურიმ საქართველოს ხელოვნების სასახლე ევროპის წლის საუკეთესო მუზეუმების პრემიის ნომინანტად დაასახელა. მანამდე, 2016 წელს, ნომინანტთა სიაში სვანეთის სამხარეო ისტორიული მუზეუმი მოხვდა.

2008 წელს ევროპის საბჭომ, კულტურული მრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით, დაიწყო პროექტი „კულტურათშორისი დიალოგი თეთრი ქაღალდი“. პროექტი მასწავლებელთა განათლების, უმცირესობათა დაცვისა და სოციალური ინტეგრაციის მიმართულებით მრავალფეროვან პროგრამებს მოიცავს. კულტურათშორისი ქალაქების ქსელი წევრ ქალაქებს ეხმარება კულტურული მრავალფეროვნების მართვაში, ჰეტეროგენულ ჯგუფებს შორის ურთიერთობებსა და თანაცხოვრების საკითხებში, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით. მიმდინარეობს კულტურული კონფლიქტების გადაჭრის გზების შემუშავება. კულტურათშორის, დიალოგის მხარდაჭერის მიზნით, ევროსაბჭო ამზადებს პროგრამებსა და ინსტრუმენტებს, ენების სწავლების ხელშესაწყობად. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან, ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით.

დასკვნა

კულტურულ-შემოქმედებითი სექტორი საკმაოდ მრავალფეროვანია, მოიცავს არქიტექტურას, მხატვრობას, მუსიკას, ლიტერატურას, თეატრალურ ხელოვნებას, საშემსრულებლო ხელოვნებას, სხვადასხვა მიმართულების ფესტივალებს, ხალხური შემოქმედების სფეროს, სულიერ და მატერიალურ

მემკვიდრეობას, არქივებს, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებს, დიზაინს, საგამომცემლო საქმეს, აუდიოვიზუალურ სფეროს (კინო, ტელევიზია, ვიდეოთამაშები და მულტიმედია), რადიო და ვიზუალურ ხელოვნებას. ევროპაში ის ქმნის 8.3 მილიონ სამუშაო ადგილს. კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები სწრაფად განვითარებადია, სამრეწველო და სამომხმარებლო ინდუსტრიებთან შედარებით. ეს მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ საქართველოს, როგორც უძველესი და უმდიდრესი კულტურულ-შემოქმედებითი სახელოვნებო ტრადიციების მქონე ქვეყანას ფართო შესაძლებლობები აქვს ეს პოტენციალი გამოიყენოს სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისა და საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის ცნობადობის ამაღლების საქმეში.

ლიტერატურა

1. Sorokin, P. (2000). *Social and Cultural dinamics: A Study of Change in Major Sistems of Art, Truth, Law and Social Rolationships.*
2. Romakh, O.V., Klonizhnikova, A.I. (2007). *The concept of culture in the works of Hegel.* (In Russian);
3. Borzova, U.P. (2013). *Comparative Culturology.* (In Russian);
4. Bstudy.net. (n.d). *Georg Hegel on culture.* Retrieved from:
https://bstudy.net/852987/iskusstvo/georg_gegel_kulture
5. *Basic schools and concepts of cultural studies.* (n.d). Retrieved from:
works.doklad.ru/view/WGa8nhoJYZw.html
6. Cultural studies as a science. (n.d). Retrieved from: works.doklad.ru/view/2FPqZKnnxBc.html
7. Parsons, T. (1951). *Social system.*
8. Parsons, T. (1939). *Professions and social structure.*
9. Monnet, J. (2001). *Reality and Politics: Memoirs.*
10. Burns, R., Van er Will, W. (2003). German cultural policy: an overview. *International Journal of Cultural policy, 9*(3).
11. Dal Pozzolo, L. (1999). Between unfinished centralism and federalist pressures: The difficult path of Italian cultural policies. In Dubois Vincent (eds), *Cultural policies in Southern Europe.*
12. Delcourt, J., Papini R. (1987). *For a European cultural policy. Paris Economica.*
13. Sticht, P., Paris, L. H. (2000). *European culture or Europe of cultures? Current issues of cultural policy in Europe.*
14. European Commission. (2005). *Standard Eurobarometer 64: Public Opinion in the European Union.*
15. Paris, P. J. M, Schuman, R. (2000). *For a European Cultural Policy.*
16. Pongy, M., Saez, G. (1994). *Cultural policies and regions in Europe.*
17. Bonet, L., Dubois, V. (1999). Cultural policy in Spain: evolution and challenges.
18. *Inventing the "Peoples Europe": Critical Approaches to European Community Cultural Policy.* (1993).
19. Augustin, G. (n.d). For a Cultural Revival in Italy: A Report on the Council of Europe Review of Italian Cultural Policy. *International Journal of Cultural Policy, 3*(1).
20. Nyhagen, P.P., Baklien, B. (n.d). Autonomy and Dependence in State. *International Journal of Cultural Policy, 9(*3).

21. Prado, C.E. (1999). *Portuguese cultural policy since the democratic revolution.*
22. Livio, M.L. (1987). *The action of the European Community of Culture.*
23. Monsaingeon, G. (1997). A minister for culture? *Le Debat, 95*. pp.41-60.

UDC 316.7
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-3-39-52

EU Cultural Policy and the European Space of Georgian Culture

David Okitashvili Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: d.oqitashvili@gtu.ge

Tamar Gagnidze Department of Public Relations, Culture and Sports, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: tamriko.gagnidze@gmail.com

Reviewers:
Sh. Doghonadze, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: sh.dogonadze@gtu.ge
S. Demetradze, Associate Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: demetrashvili.sopio@gtu.ge

Abstract. The issues of the formation of EU culture policy and its further development are important factors. In parallel with the political and economic integration of the European countries, the cultural integration of these countries is also taking place, because in the modern European countries, culture is the basis of the formation of not only the society, but also the national domestic policy. Cultural relations between EU member states have a significant impact on the development of interstate relations. Georgia's relations with the European Union in the field of culture are discussed.

Keywords: cultural politics of the EU; Georgian cultural integration of the EU.

განხილვის თარიღი 08.04.2024
შემოსვლის თარიღი 16.04.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.09.2024